

1926 სახელმწიფო გამომცემლობა. № 1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

		გვ.
1.	იყავ ლენინელი ბრძოლაში, შრომაში, სწავლაში — **მ. ორახელაშვილის**	2
2.	რა უნდა გავაკეთოთ? — **შ. ტაბიძის**	3
3.	ბარიკადაზე — **ს. ერთაწმინდელის**	4
4.	პიონერების მარში — ლექსი — **კ. ლორთქიფანიძის**	10
5.	შემოდგომა სოფელში — ლექსი — **თ. ჩქარეულის**	10
6.	ნაცრისფერი ავტომობილი — **ე. პოლუმორდვინოვის**	11
7.	პიონერებს — ლექსი — **ე. რომელაშვილის**	15
8.	სწავლისაკენ! — **შანის**	16
9.	ჩვენი ძმები მსოფლიოში	18
10.	ს. ს. რ. კ. პიონერების ცხოვრება და მუშაობა	20
11.	ჩვენი ცხოვრება	21
12.	ფოტოგრაფია	22
13.	მეცნიერება და ტეხნიკა	23
14.	ბავშთა შემოქმედება	24
15.	თამაშობანი	25
16.	გასართობი	25

329.158(05)
ჯ-47

მუშათა კლასის საქმისათვის ბავშვებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერი

1926
15 ოქტომბერი

განათლების სასაულო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის და საქართველოს ბ. კ. ი. ცენტრალური შეიერის (საქ. ა. ლ. კომკავშირის ლიკვიდაციამდე) ჟურნალი ბავშვისათვის

წელიწადი I
№ 1

571



პიონერი უკითხავს ჟურნალს სოფლის შეუკავშირებელ ბავშვებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყავ ლენინელი გრძოლაში, ზრდაში, სწავლაში.

ახალგაზრდა მეგობარნო, მკითხველნო, როგორც ხედავთ, ჩვენი ჟურნალი სახელს იცვლის. ამიერიდან ის თვეში ორჯერ გამოვა, წინანდელთან შედარებით უფრო გაფართოებული. ფართოდდება მისი ამოცანებიც. დღეიდან ამ ჟურნალს ორგვარი ამოცანა აქვს დასახული. პირველი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ის უნდა დაეხმაროს პიონერ ბავშვს, რომ იმათ გაღრმავონ და გაფართოვონ თავისი ცოდნა, შეიგნონ, რომ შეუძლებელია მუშათა კლასის ბრძოლის გარეშე დგომა და განიმტკიცონ ნებისყოფა და სურვილი წინსვლისა, ცოდნის გაღრმავებისა; ჟურნალის მეორე ძირითად ამოცანას შეადგენს მთელი შეუკავშირებელი ბავშვის ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფებში ჩაბმა, პიონერ-კოლექტივების ინტერესებით გაჟღენთა, მათი დაინტერესება პიონერების ცხოვრებით და მუშაობით. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს შეუკავშირებელ ბავშვს, რომ ისინი რაც შეიძლება მალე შეუერთდენ მრავალრიცხოვან ლაშქარს პროლეტარ ბავშვთა, რომელნიც ემზადებიან დიდი საქმისათვის—მათ უნდა გაათავისუფლონ მშრომელი კაცობრიობა კაპიტალიზმის ულლისაგან და შექმნან კომუნისტური საზოგადოება, სადაც არ იქნებიან არც მჩაგვრელნი, არც დაჩაგრულნი.

ეს საერთო ამოცანებია. ამას გარდა ჩვენ გვინდა, რომ ბავშვი მიეჩვიოს თავისი მუშაობისა და დროის წესიერად განაწილებას სკოლაში, კოლექტივში და ოჯახში. ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვს ისე მუშაობა, რომ კოლექტივში მუშაობამ ხელი არ შეუშალოს სასკოლო მუშაობას და პირიქით.

ჟურნალი უნდა დაეხმაროს ფორპოსტებს იმ მხრივ, რომ მათ საინტერესო, შინაარსიანი მუშაობა აწარმოონ, რითაც ფორპოსტი სკოლას დაინტერესებს საზოგადოებ-ივ-პოლიტიკური ამბებით და განამტკიცებს კიდეც ამ ინტერესს, უნდა დაეხმაროს ორივე, რომ მოწაფეთა აქტიურობა-თვითმოქმედება გაიზარდოს და, საერთოდ, ჩვენმა ჟურნალმა უნდა ასწავლოს ფორპოსტს, თუ როგორ უნდა უხელმძღვანელოს მან სკოლის თვითმართველობას.

ჟურნალმა ისიც უნდა გითვალისწინოს, რომ ძალზე მოიკოკლებს იმ რევოლუციონური დღესასწაულების შესწავლა და ჩატარება, რომელთაც ძალიან დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ ბავშვებისთვის როგორც სკოლაში, ისე კოლექტივში. საჭიროა, რომ ჩვენმა ჟურნალმა, ჩვენმა „პიონერ"-მა, თავის დროზე მიაწოდოს მკითხველებს სათანადო მასალა, მეცნიერული წერილები, რომელნიც უბრალო, ბავშვისთვის გასაგები ენით უნდა იყოს დაწერილი, პიესები, ლექსები ამ დღესასწაულის შესახებ, ნოტები სიმღერებისთვის და სხვ. ყოველივე ეს ბავშვს აძლევს ამ რევოლუციონური მოვლენის შესწავლის საშუალებას; ამისვე წყალობით ისინი შესძლებენ წესიერად მის ასახვას კოლექტიური შემოქმედებითი შრომით და ამით კი ორგანიზაციულ სახეს მისცემენ მონაწილეების და მაყურებლების გრძნობას და ნებისყოფას.

ჩვენმა ჟურნალმა ერთ-ერთ ძირითად ამოცანად უნდა დაისახოს აგრეთვე ის, რომ დაეხმაროს მკითხველებს კარგი, სასარგებლო წიგნის ამორჩევაში, ხელმძღვანელობა გაუწიოს, თუ რა იკითხონ მათ, რა თამაშობანი, სიმღერები, ლექსები აირჩიონ. ჩვენმა ჟურნალმა უნდა ასწავლოს ბავშს, თუ როგორ უნდა გამოიყენოს მან თავისი დრო ჭკვიანური დასვენებისათვის, კითხვისთვის, ფიზკულტურისათვის და სხვა.

ჟურნალმა მთელი თავისი მასალა ისე უნდა შეარჩიოს, რომ პიონერებმა შესძლონ სასარგებლო საქმის კეთება როგორც შინ, ისე ქუჩაში და სკოლაშიც, შესძლონ ბავშვების ფართო მასების შემოკრება, ბავშვის ნამდვილ მეთაურად ყოფნა. შემდგომი მუშობისათვის, კომუნიზმის დამყარებისათვის ჩვენ გვჭირდება მუშათა საქმისათვის მებრძოლი ჯანმრთელი თაობა. საჭიროა, როგორც სკოლის მუშობა, ისე პიონერ-კოლექტივის მუშობა იქითკენ იყოს მიმართული, რომ ბავშვებმა შეისისხლხორცონ, შეითვისონ ყოველივე ის, რაც საჭიროა ჯანმრთელობისთვის, სისუფთავისთვის, პირადი და საზოგადოებრივი ჰიგიენისთვის. საჭიროა, რომ ჩვენმა ჟურნალმა ძალიან დიდი ყურადღება მიაქციოს, დიდი ადგილი და დრო დაუთმოს ისეთ კითხვებს, რომელიც ეხება ავადმყოფობის თავიდან აცილებას, ავადმყოფობის გადადებას, კვებასა და ძილს და, საერთოდ, ჯანმრთელობის შენახვას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სახელმწიფოებრივი აპარატის, ჩვენი ყოფაცხოვრების, ქალაქისა და სოფლის ცხოვრების გაუმჯობესება გაჯანსაღების საქმეში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დღითი-დღე იზრდება მუშაკრობისა და გლეხკრების რიცხვი, რომელნიც პრესის საშუალებით აუწყებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითსა და დადებით მოვლენებს. ვფიქრობ, რომ პიონერ-კორესპონდენტებიც (ე. წ. პიკორები) ძალიან დიდ დახმარებას გაგვიწევენ, რომ წესიერ კალაპოტში ჩავაყენოთ პიონერ-მოძრაობა და მოსპოთ ის ნაკლი, რაც ემჩნევა ჩვენს ყოველდღიურ აღმზრდელობითს მუშაობას სკოლასა და კოლექტივში. ჩვენი ჟურნალი უნდა იყოს პიკორთა მოძრაობის ორგანიზაციულად ჩამომყალიბებელი ცენტრი.

ჩვენ ყველანი — რედაქცია, ჟურნალის ხელმძღვანელნი, ყველა თანამშრომელნი და მათ შორის პიკორებიც იმ მიმართულებით უნდა ვმუშაობდეთ, რომ ბავშვს გაეფერმაოთ ცოდნა, ჩავბეროთ მედგარი სული, მივცეთ ელემენტარული ცოდნა, თუ როგორ უნდა დაამუშაონ დამოუკიდებლად ბეჭდვითი მასალა — ეს იმ მიზნით, რომ შემდგომ მათ შეძლონ თავისი ცოდნის დამოუკიდებლად გაღრმავება, ყოველდღიური ცხოვრების საკითხებში გარკვევა, აღმშენებლობის ამოცანების სათანადოდ გაგება, საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესების ლენინურად გაგება, ლენინური დასკვნების გამოყენა ახალ პირობებში.

ჩვენმა ჟურნალმა ისე უნდა აღზარდოს ბავშვები, რომ მათ წესიერად, ორგანიზაციულად გამოიყენონ თავისი დრო, ორგანიზაციული სახე მისცენ თავის შრომას, განამტკიცონ და გაასალკლდევონ თავისი ნებისყოფა და ჯანმრთელობა და ამით დაეხმარონ მუშურ სახელმწიფოს, რომელსაც სურს აღზარდოს დისციპლინიანი, ჯანმრთელი, პატიოსანი, გასალკლდევებული ლაშქარი მშრომელებისა, რომელთაც შეეძლებათ გადალახვა ყოველგვარი დაბრკოლებისა, რომელნიც არავითარი ხელშემშლელი ძალის წინაშე არ მოიხრიან ქედს.

მარიამ ორახელაშვილი.

რა უნდა გავაკეთოთ?

„წითელი სხივი“-ს მაგივრად დღეიდან იწყებს გამოსვლას ჟურნალი „პიონერი“. ჩვენი ჟურნალი გამოდის იმ დროს, როდესაც ჩვენ ვძლიერდებით, ვმტკიცდებით, მოზარდი თაობა ირაზმება რევოლუციონური დროშის ქვეშ კომპარტიის და კომკავშირის ხელმძღვანელობით.

რა შეადგენს ამ დროს ჟურნალ „პიონერის“ ამოცანებს?

პირველი და უმთავრესი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოამზადოს მოზარდი თაობა ახალი კომუნისტური საზოგადოების შენებაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად და მეორე — მომავალი ბრძოლებისთვის აღზარდოს მოპოვებული თავისუფლების დამცველი მტკიცე მებრძოლები. ჩვენ ვქმნით სოციალისტურ საზოგადოებას, ვანგრევთ ძველ დახავსებულ ყოფა-ცხოვრებას, ვქმნით ახალ სკოლას, ვითარდება პროლეტარული კულტურა, იქმნება ახალი ლიტერატურა — ერთი სიტყვით, ჩვენ ვიმყოფებით აღმშენებლობის დიდ ხანაში. ამ მშენებლობას ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, რომლის ბელადიც იყო **ლენინი.** ლენინმა მუშათა კლასს ასწავლა როგორც მტრების წინააღმდეგ ბრძოლა, ისე ახალი საზოგადოების შექმნა. ყოველი მუშაობის დროს ჩვენ გზას გვინათებს **ლენინის** მოძღვრება — **ლენინიზმი.**

რომ მოზარდმა თაობამ შესძლოს მასზე დაკისრებული მოვალეობის ასრულება, რომ მოზარდმა თაობამ იცოდეს, თუ როგორ უნდა იბრძოლოს და როგორ უნდა შეეჭქმნას ახალი ცხოვრება, ამისთვის უნდა შეისწავლოს **ლენინიზმი,** ე. ი. უნდა აღიზარდოს ლენინურად.

ჩვენმა ჟურნალმა უნდა შეასწავლოს მოზარდ თაობას ის ბრძოლები, რომელიც განვლო მუშათა კლასმა დღემდე, უნდა შეასწავლოს, თუ როგორ იბრძოდა ბოლშევიკური პარტია ლენინის ხელმძღვანელობით მუშათა კლასის და დარიბი გლეხობის განსათავისუფლებლად. „მოზარდი თაობის კომუნისტურად აღზდა შეიძლება მაშინ, — გვასწავლის ლენინი, — როდესაც მოზარდი თაობა თავის ყოველ ნაბიჯს შეუერთებს მუშათა კლასის ბრძოლებს ძველი, ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ“.

ძველი ექსპლოატატორული საზოგადოება ჩვენ უკვე დავამარცხეთ. საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა მუშათა კლასს და გლეხობას სრული თავისუფლება, ის ჰქმნის ახალ ცხოვრებას, ახალი ცხოვრების შექმნაში მონაწილეობას იღებს ახალგაზდობაც, მაშასადამ, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ შევქმნათ ის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბავშთა კომუნისტური ორგანიზაციის მომუშავეთა თათბირი.

ჟურნალმა „პიონერმა“ უნდა ასწავლოს მოზარდ თაობას, თუ როგორ ხდება ამ ახალი ცხოვრების შექმნა, მან უნდა მისცეს ის ცოდნა, რომელიც სჭირდება ჩვენს მოზარდ თაობას ყოველი ფეხის გადადგმაზე, რომ მიიღოს მონაწილეობა დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჩვენ უნდა შევასწავლოთ მოზარდ თაობას კოლექტიურად შრომა და ცხოვრება, უნდა მივიღოთ მონაწილეობა ახალი ყოფა ცხოვრების შექმნაში, უნდა გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ მუშაობა საბჭოთა სკოლის განსამტკიცებლად. ყველა ამ საკითხის გაშუქებას ისახავს მიზნად ჟურნალი „პიონერი“.

ჟურნალი მაშინ გაამართლებს მასზე დამყარებულ იმედებს, როდესაც მასში მონაწილეობას მიიღებს თვით ბავშთა ფართო მასა; თვით ბავშებმა უნდა სწერონ ჩვენს ჟურნალში.

რაზე და როგორ უნდა ვწეროთ ჟურნალში?

ჩვენ ვმუშაობთ, მაგრამ ეს მუშაობა ყველგან ერთნაირი არ არის. ჩვენმა ჟურნალმა უნდა გააშუქოს ჩვენი მიღწევები და აგრეთვე ნაკლი. უნდა გავაშუქოთ და ჯამი გავუკეთოთ პიონერთა ორგანიზაციაში, სკოლაში და სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ჩვენს მუშაობას. ჟურნალში თანამშრომლობა შეუძლიათ როგორც პიკორებს, ბავშკორებს, ისე ყველა ბავშებს, ვისაც კი სურვილი ექნება. მაგრამ წერაც არის და წერაც. კარგი ბავშკორი ან პიკორი ის არის, რომელიც ამა თუ იმ მდგომარეობას სწორად აღნუსხავს. არ ვარგა ისეთი პიკორი, რომელიც დადებით მხარეს აჩნევს და უარყოფითს კი არა. როდესაც აღნიშნავ რაიმე ნაკლს, უნდა ეცადო მიუთითო იმ საშუალებებზე, რომლითაც შეიძლება მისი გამოსწორება. უნდა ვწეროთ იქაზე, რასაც ჩვენი დაკვირვებით და შესწავლით ვამჩნევთ. მაგრამ არ კმარა ის, რომ სწერო კოლექტივის ან სკოლის ცხოვრებაზე და მეცადინეობას კი ხელი შეუშვა. საჭიროა მეცადინეობა სკოლაში, ცოდნის შეძენა, რომ თვით შენს შემოქმედებას გაუხსნა გზა.

ჩვენი ჟურნალი სიამოვნებით კისრულობს ყველა ამ ამოცანების შესრულებას. ჩვენ შევძლებთ დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნილება, რომელიც აქვთ მუშათა და გლეხთა ბავშებს. ჩვენ შევძლებთ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით დავაგვირგვინოთ ოქტომბრის ოლუტციის მსოფლიო გამარჯვება.

შ. ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ოქტომბრის სურათები)

I.

ნისლიანი ქალაქი.

ნევა გაშმაგებით ეხეთქებოდა ბალტიკას.

კრეისერი „ავრორა" პირდაღებული ზარბაზნებით უკანასკნელ ვადას აძლევდა საზამთრო სასახლეს.

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ქუჩები შეტევაზე გადადიოდენ...

ტყვიის ზუზუნში ყალყზე ამდგარი ღვინობისთვის ქარი ჭიოდა იერიშით...

ცივა...

დროგამოშვებით ზღვის მხრით წვიმის მსხვილი წვეთები ეცემიან ანაყინვ ქვაფენილებს, რომელთაც სისხლის ზოლები შედედებიან პირქუში მზერით...

რაღაც შემაძრწუნებელი შიშიანობა აიტუზა ზარმცემი პოზით...

თოფის წამლის სუნი ამძიმებს ჰაერს...

ყნოსვა სუნთქვას აძნელებს...

შეიარაღებული ხალხის მრისხანე ნება...

ჯარი...

მეზღვაურთა დესანტი...

კავალერია ჰუსართა...

ოფიცერთა რაზმები...

იუნკერთა სკოლა...

ქალთა დამკვრელი ბატალიონი...

მუშათა ლურჯხალათიანი სახეები...

სტუდენტების ჯგუფები...

ჯავშნოსანი ავტომობილები...

ტყვიამფრქვევთა აალება...

მთავრობის დამფრთხალი პროფილი...

მატარებლები საჩქაროდ მიაქროლებენ მინისტრებს ქუდის მოგლეჯით...

ხმაური...

ფუსფუსი...

აჯანყებულები უტევენ...

II.

ოქტომბერი ამბობს უკვდავ სიტყვას...

აჯანყება...

რევოლუცია...

— შეიარაღდით!..

— ბარიკადებზე!..

— სმენა�ა!..

ბუკი...

შუბლშენაოქებული ქარხნები ძველ ბურჟუაზიულ ქვეყანას იწვევენ დუელში...

მათი აწ ღუმელჩამქრალი საკვამლე მილები ველარ აორთქლებენ ცის ტატნობს...

შეჩერებული მანქანების ბორბლებს სალტე თანხმოვანი სიტყვით ბანს ველარ ეუბნება...

და...

ნაოფლ მკერდგაღეღილთა ძარღვიან ხელებ მოაქვს შურისძიება...

— ყველა ქუჩებზე!..

ყარავდება ტრამვაის რონოდები...

იხერგება ეტლები...

ჯაგვები...

ავეჯი...

იხერგება ქუჩის მოსახვევები...

ბარიკადებზე წითელი დროშები

თავმომწონე ბრძოლის ხანძარში, რ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ალი სვეტებად იზიდება ცის ამღვრეულ თვალთა ასალანძავად, სადაც ღრუბელს თავისი ქარავნებით კარავი დაუცია საბანაკოდ...

— ტრრრახ!..

— ბუმ! ბაც!..

— ტრა, ტა, ტა, ტა!..

ერთიმეორეს ეჯიბრებიან იარაღები ხმის შეწყობაში...

— ჰმ... ბოლშევიკები...

დასკინის ახალგაზრდა ოფიცერი შემომტევთ...

— ახალეთ...

— როგორ? არაო? უარს ამბობთ სროლაზე?! დაგხვრეტთ, ჩამოგახრჩობთ!...

ყვირის მოხუცი გენერალი, მაგრამ, ჯარისკაცების მიერ ანაბეჭრთალი, ყუჩდება...

— ჯარის ნაწილი აჯანყებულებს ემხრობა?

— ეჰეე...

— მატროსებიც?

— ჰმმ...

— აბა, ქალთა დამკვრელი ბატალიონი, იუნკერები...

— დამფუძნებელი კრება ირეკება?..

— მერე და ვინ შეარჩენს ამ თავხედობას მაგათ? არა, ის ხომ ხალხის მიერაა არჩეული, იმპერიის გაუქმებისა და მეფის ჩამოგდების შემდეგ?.. ის ხომ კანონმდებელი ორგანოა?

— ფრონტი იშლება? ჯარები უკან იხევენ და პეტროგრადზე მოდიან? სმოლნი მუშაობს?..

იქ დიდი ბელადი ლენინი ჰქუხს...

ირევა ხმები...

დეპუტატები თავიანთ პროვინციებში მიდიან...

III.

— აბა, კოლია, შენ იცი; კიდევ...

ეუბნება წინამძღოლი ამხანაგის შვილს, და ისიც მირბის...

საით?..

ბარიკადა კი ამაყად დგას...

კოლია საიდანღაც მოაორევს თოფს ღიმილით.

— აი!

— ეს სადღა იშოვე...

— აგერ...

და ხელი გაუშვირა მესამე ქუჩაზე.

— ალბათ რამოდენიმე დღე-ღამის უძილობის შემდეგ გუშაგს ზეზეევე ჩასძინებოდა თოფზე დაყრდნობით; მე ბევრი აღარ მიფიქრია; ერთი მივიხედ-მოვიხედე და, რა შევნიშნე ცხენოსანი პატრულიანი აქეთ გაქროლვა, მსწრაფლ გამოვტაცე და მოვ[illegible]ი აქეთ... ო, უნდა გენახათ, ის საცოდავი როგორ გაიშხლართა ძირს და ვიდრე გამოერკვოდა, ვიდრე თვალებს მოიფშვნეტდა, მე უკვე მოდანს გამოვცდი; ერთი კი მოვიხედე და შევნიშნე, რომ მუშტების ღერვით მომდევდა, მაგრამ...

— ყოჩაღ, პატარა რევოლუციონერო...

ეს მერამდენე თოფი იშოვნა ასე, ვასილიევის კუნძულის მუშის პატარა ვაჟმა, რომელიც მამას თან ახლდა, არ შორდებოდა...

მისი საარაკო გმირობის ამბავი ბარიკადიდან ბარიკადაზე გადადიოდა...

მსწრაფლ გამოვტაცე და მოვკურცხლე აქეთ...

— რაო? ვაზნები შემოგვაკლდა?

— რამდენიმე გასროლა კიდევ და მშვიდობით. ბარიკადის დამცველები შეფიქრიანდენ...

მთავრობის ჯარები გამანადგურებელ ცეცხლს ანთებენ...

ბარიკადას უშენენ ..

მთ უკვე რამოდენიმე ბარიკადა გაანადგურეს, ქუჩები გასწმინდეს და ახლა აქეთ მოიწევენ. .

მუშები მოდიან საშველად...

ახალ-ახალი ძალები ემატება ურჩ რაზმს...

— პეტრე, შენ ვაზნებზე გაეშურე; ანა, შენ დაჭრილებს მოუარე. ანდრო, შენ ეს ბარათი სმოლნში გადაეცი...

განკარგულებებს იძლევა მეთაური მუშა ..

— კარგი...

— ახლავე...

— მალე...

ისმის ზედიზედ...

აგერ დაეცა მელითონე კონდრატი ყვირილით:

— გაუმარჯოს საბჭოებს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალურჯებულ ტუჩებზე პირით ამონაქუხი სისხლი გადმოდინა...

ტყვია სეტყვასავით ცვივა...

— ამხანაგებო, მედგრად დავიცვათ ბარიკადა, სადაცაა შველა მოვა...

— უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ...

— სიკვდილი ან გამარჯვება!

— აგრე...

— ბავში რა მექნა? კი არსად მოჭკლან-და,— წარმოსთქვა კუნძულელმა მუშამ, რა შვილი იქ ვეღარ შენიშნა და უკანასკნელი ვიზნა ჩადვა თოფში.

— ალბად სანადიროდ იქნება წასული, — ეუბნება იქვეის ქარხნის ხარატი...

IV.

— ყოვლად შეუძლებელია გავლა სმოლნისკენ; ყველა გზები შეკრულია ჯარისკაცებით და იუნკრებით, - რა უკანვე დაბრუნდა, განაცხადა ანდრომ...

— ჰო-და, მამაჩემო, ტყვია სწორედ იქ მაგ ძვნის, სადაც არ ელი, მაგრამ გაშლილ ადგილზე კი გერიდება...

ბავშის ამ სიტყვებზე გულიანი ხარხარი ასტყდა.

— შეგიძლია ეს წერილი სმოლნში გადასცე? შეეკითხა მეთაური.

— ვიცდები.

— მხოლოდ ფრთხილად; იცოდე, რომ გზები დაქერილი აქვთ მთავრობის ჯარებს.

— წელან სად იყავი, რომ გეძახდი?—შეეკითხა მამა.

— სანადიროდ ვიყავი ხოხბებზე, მაგრამ მიზანს ამიცდა გასროლა... ტყის დარაჯებმა გამიგეს განზრახვა და მიფრინეს...

ყველა მიხვდა, რას ამბობდა ის...

— ძალიან ფრთხილად იყავი, არ ჩაუვარდე იმ ჯალათებს ხელში, თორემ მოგკლავენ...

— ვიცი, მაშ შუბლში ხომ არ მაკოცებენ?

განკარგულებას იძლევა მეთაური მუშა...

ბარიკადის უფროსი შეფიქრიანდა...

— ამ საქმეში ისევ პატარა რევოლუციონერი თუ გამოგვადგება...

— სადაა?

— აქ გახლავარ.

გამოძვრა კასრიდან და გამოეშიმა ამაყად, მარჯვენა ხელის მხედრულად ქუდთან მიტანით...

— მანდ რა გინდოდა, შვილო?

— ტყვიას ვემაღებოდი.

— როგორ? პირდაპირ რომ გიშენენ ხოლმე, შენ მაშინაც არ ეპუები, პირიქით, ენის გამოყოფით აღიზიანებ მათ, და ახლა კი... აქ, ბარიკადას მოფარებული...

— ნუ გეშინია, შვილო, თამამად...

გაფრთხილებასთან ერთად მამამ გადაჰკოცნა...

— ნახვამდის...

— მშვიდობით...

V.

დაბინდდა...

ცივი ქარი უბერავს...

ჯარისკაცებს ქუჩის მოსახვევში ცეცხლი დაუნთიათ და თბებიან...

— პორფირ, პაპიროსი არა გაქვს?

— აჰა, მახორკა

გაზეთის მონახევში მალე ბოლდება მყრალი სუნი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზღანდარობენ...

— ვინ მოდის? შესდექ!

დაუძახა გუშაგად მდგარმა ჯარისკაცმა პატარა ლანდს, რომელიც ფრთხილად მოიპარებოდა კედელ-კედელ და, თუ შეატყობდა, რომ შენიშნავდენ, წელში გაიმართებოდა და ისე მიდიოდა, თითქოს აქ არაფერიაო.

ახლაც ასე მოიქცა.

ჯარისკაცები წამოცვივდენ ზეზე.

— ვინაა?

იკითხა ერთმა მათგანმა.

— ვიღაცა პატარა ბიჭია.

იყო გუშაგის პასუხი.

— მოუშვი.

— ვინა ხარ?

— მოწაფე...

შეგიძლია ეს წერილი სმოლნში გადასცე?—შეეკითხა მეთაური...

იგი წააწყდა ტუნკრების საგუშაგოს, რომელნიც მუშებზე ისეთი დამკინავი კილოთი ლაპარაკობდენ, რომ კოლას ბავშურ სულსაც კი აღელვებდენ...

— ამ საძაგელი ბოლშევიკების გამო ეს რამდენი ხანია აქა ვდგავართ და ჯერაც ვერ გამიპარსავს წვერი...

— ჰმ... უიარაღო ბრბო... ბედისწერას აუტანია ეგენი...

— კიდევ არიან?

— არიან, მაგ ამ ხვალ და ზეგ უკვე აღარ იქნებიან, ისე მოვსპობთ, რომ გაჩენის დღე ვაწყევლინოთ...

— საძაგლები... ჩვენ გვიბედავენ შებმას?..

ეს სიტყვები ესმის კოლას და სიბრაზისაგან მუშტებს ჰკუმშავს.

— ენახოთ, ვინ ვის მოსპობს!— ამბობს ის თავისთვის.

გვერდი აუქცია...

შენიშნეს...

—შესდექ!

— ვინაა?

— ბოლშევიკების ჯაშუში იქნება...

— ჯაშუში კი არა, მოწაფე ვარ და შინ მივდივარ...

შესაბრალისი სახე მიიღო კოლამ.

— სად ყოფილხარ?

— პირდაპირ სასწავლებლიდან მოვალ...

— ამ დროს?

— დიახ, სროლა იყო და შემეშინდა გარეთ გამოსვლა. ახლა რომ მიწყნარდა, გავბედე წამოსვლა...

აათვალიერ-ჩაათვალიერეს...

— რომელ სასწავლებელში ხარ?

დაუსახელა რომელილაც...

— რომელ ქუჩაზე დგახარ?

დაუსახელა გზად მდებარე ერთი პატარა ქუჩა.

— საეჭვოა. .

— სასწავლი წიგნები რა უყავი?

— სკოლაში დავტოვე...

დაიწყეს ბჭობა.

— შტაბში წავიყვანოთ?

— აჰ, არა... ღირს განა მაგისი თრევა?

— გავჩხრიკოთ...

კოლა იმედიანადაა...

ვერაფერი უნახეს საეჭვო.

— შენი გვარი?

უთხრა...

— აბა, ახლა კი აიბარგე აქედან და აღარ შემოგვეფეთო აქეთ სადმე, მარშ!..

კოლასაც ეს უნდოდა...

ჩქარი ნაბიჯით გამოსწია...

თავისი მოხერხებულობით მოატყუა ისინი...

— მერე-და, რომ ენახათ ეს წერილი? ხომ ძაღლსავით მომკლავდენ ეგ ჯალათები? — გაიფიქრა მან.

ელექტრონები აელვარდენ, მაგრამ მის შუქს შორს არ უშვებს ბური...

VI.

აგერ სმოლნიც...

მის მიდამოებს და შესავალს ბოლშევიკური რაზმები იცავენ...

მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოები მუშაობენ...

— ვინაა თქვენში უფროსი? —შეეკითხა კოლა, გუშაგად მდგარ ჯგუფს რომ მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გინდა, პატარავ?—შეეკითხა ერთი ხანში შესული მუშა.

— ჯერ მითხარით, ვინაა თქვენი მეთაური?

— მე ვარ,—მიუგო მანვე ღიმილით.

— მე ვარ ბარიკადიდან გამოგზავნილი... დაუსახელა, რომლიდანაც იყო.

— სასიამოვნოა; რა გინდა?

— დავალება უნდა გადავცე სმოლნში...

— ვის?

— სულერთია...

— მაინც?

— ძია ლენინს...

— ის ახლა აქ არაა...

— მაშინ ტროცკის...

— არც ისაა, ისინი სხვაგან არიან წასული ერთად...

— ვინ გასწავლა ეგეთი ხერხი, ბატონო? შეეკითხა მორიგე კოლას, ამ მოწერილობული ფანდით გაკვირვებული.

— არა, როცა შევნიშნე, რომ ის ბურჟუების ლაქიები იცავდენ ქუჩებს და შესაძლებელი იყო გავეჩხრიკეთ, წინდაწინვე მოვისაზრე...

წერილი გადაიკითხა მორიგემ და განკარგულება გასცა.

ბავშს აუბეზეს...

— შენ, რადგანაც ახლა ქუჩებში საშიშია გავლა, აქ დარჩები და ხვალ დილით წახვალ...

კარგთან მდგარ დარაჯს უთხრა, რომ მიეცათ დასაძინებელი ბინა.

— როგორ, პასუხი არ უნდა მივიტანო?

— ჯავშნოსანი ავტომობილი წავა...

გადასცა წერილი, რომელიც ამოიღო ფეხსაცმლის ლანჩასა და სარჩულს შუა დარღვეული ნაწილიდან...

— მაშ ხომ მაინც არის კიდევ აქ ვინმე ბოლშევიკი?—იკითხა კოლამ გულუბრყვილოდ, რამაც გულიანი სიცილი გამოიწვია...

— ბოლშევიკები რამდენიც გინდა... აბა, ამბ. პავლოვ, მიიცილეთ კომენდანტთან...

ამაყი ნაბიჯით შეჰყვა გამცილებელს საკომენდანტო ოთახში.

— რა გინდა, ბავშო?—შეეკითხა მორიგე, რა აათვალიერა ეს გაბედული ბიჭი.

— მე უკვე ბავში აღარა ვარ, მე ვარ ბოლშევიკი და მებრძოლი ბარიკადზე... აი, ინებეთ,—უთხრა კოლამ ცოტა ნაწყენი კილოთი და გადასცა წერილი, რომელიც ამოიღო ფეხსაცმლის ლანჩასა და სარჩულს შუა დარღვეული ნაწილიდან.

— არ შემიძლია აქ დარჩენა, ბარიკადაზე მამა მელის. .

შეეხვეწა, რომ ისიც წაეყვანათ...

კარგი, რადგანაც არ იშლი, წამოდი,-უთხრა ჯავშნოსნის უფროსმა...

— აი, ეს შენ, რომ ასეთი ყოჩაღი ყოფილხარ, უთხრა მორიგემ, მაგიდის უჯრიდან ამოიღო პატარა ბრაუნინგი და გადასცა...

კოლას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა... აგუგუნდა ავტომობილი...

რამოდენიმე მოსახვევში აკაკანდენ ტყვიამფრქვეველები გზის გასაკაფად...

ატოკდა პატარა მებრძოლის გული...

(შემდეგი იქნება)

ს. ერთაწმინდელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პიონერეგის მარშ

მივდივართ; გაშლილი
დროშები ფრიალებს,
სივრცეში გაისმის
გუგუნი ნადარის...
მივდივართ; ნაბიჯი
ნაბიჯთან კრიალებს,
ნაბიჯი—იმედი
მშრომელთა ჭაღარის.
ნორჩნი ვართ, ნორჩია
ცხოვრებაც ჩვენსავით;
ჩვენ ერთად ვიშლებით,
ჩვენ ერთად ვიზრდებით...
მშრომელთა გულია
იმედის მთესავი
ჩვენი შეწყობილი
ქუჩებზე რიგები.
ცხოვრება ალერსით
გვეხვეცა პატარებს,
გვიელავს სხივებით
მოსილი თვალებით...
ლენინის ანდერძებს
ჩვენ გულით ვატარებთ,
ჩვენ უნდა შევცვალოთ
დაღლილი მკლავები.
სალამი სიცოცხლევ.
გავსილო მშვენებით,
სალამი ქარხნებო,
ველებო მწვანეო...
მოვჭრიდართ სიმღერით,
დროშებით, ჭენებით.
დავაშროთ ტკივილის
მორევი მწარეო.
ყვავილით მოირთო
გაშლილი ველები,
მხურვალე სხივებმა
გაათბო, დაფარა...
ეს ჩვენი მუხლები,
ეს ჩვენი ხელები
მიჭქრიან, მოჭქრიან
ნავარდით მთა-ბარად
ვიშლებით; სხეულში
ძალა დაგროვდება;
ვიშლებით; გაივლის
დღეები თარეშის...
და როცა ბავშობა
გავა, გაგორდება,
ოფლის დასაღვრელად
ჩვენც მოვალთ ქარხნებში.
გასწორდით,
ვინა სთქვა – ბრძოლები გათავდა!
მშრომელთა მებრძოლი
მკლავი ვინ მოღუნა?
დავიცვათ—
მზადა ვართ,
მზადა ვართ,
მზადა ვართ,
სისხლში გაბანილი
დროშა და კომუნა.

კონ. ლორთქიფანიძე.

შემოდგომა სოფელში.

თბილი და მხურვალე
დღეები გავიდა,
ღრუბლებმა დაჰფარა ელვარე მზე,
წამოდგა ნისლების
ლაშქარი მთებიდან,
ეხვევა ველებს და მტკიერიან გზებს.
გაყვითლდა ფოთლები,
გაყვითლდა ხეები—
სისინებს ქარი და მიწაზე ჰყრის.
ავდრიან ღამეში
ღმუიან ხეები,
ვიდრე არ მოხსნიან განთიადს პირს.
მოდიდდა მდინარე,
გაივსო პირი და
ღრიალით ასკდება გადამხმარ ველს;
მრისხანე ზვირთები
ბუჩქებს ნაპირიდან
იტაცებს, თხრის და მორევში ხვევს,
სოფელში რთველია;
გოდლები გოდრა
აესებენ საწნახლის ვეება ხრამს;
ხვავი და ბარაქა
ოჯახში მოგორავს
და ისმის სიმღერის, მოლხენის ხმა.
იპრება მსუქანი
მტევანი მტევანზე,
იდგმება სიმინდის, კვახების მთა;
ბაღშები მიდიან
ღამეთა თევაზე,
თამაში, ქევილი ეზოებს რთავს.
ურმების ჭრიალი
შარიდან შარებზე
დილამდე მოისმის, დილამდე ჰფეთქს;
და როცა მამლების
ყივილი სარებზე
მთიდან ამოიყვანს განთიადს თეთრს,—
დაღლილი სოფელის
მუხლი იკეცება;
ეძლევა მიდამო უდარდელ ძილს;
ირგვლივ სიჩუმეა,
ზეცა იცრემლება,
და ნიავს ჩამოაქვს ფოთლები ძირს.

თ. ჩქარეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოკრისფერი ავტომობილი

I.

ჯერ კიდევ კარგა არ გათენებულიყო, როდესაც ჟიუნის მამა დაბრუნდა. ის ქვანახშირის მაღაროებში მუშაობდა და მისი ბინა წარმოადგენდა განაპირა უბნის ერთ ბნელ სარდაფს, რომელშიც ცხოვრობდა ოთხი ადამიანი—ჟიუნი, მისი დედ-მამა და პატარა და ელიზა.

ჟუინიმ მაშინვე შეამჩნია მამის დაღვრემილი სახე, დაქანცული ნაბიჯები და ღონემიხდილი მოძრაობა, მაგრამ ვერ გაბედა დალაპარაკება, რადგან ეშინოდა მისი შეშფოთების.

— უკვე გადღვიძებიათ, ჩემო გვრიტებო?—ნახევრად მოღიმარე სახით მიმართა მამამ თავის შვილებს და თმაზე ხელი გადუსვა ჯერ ერთს, მერე მეორეს.

ექვსი წლის ელიზა მამამ ხელში აიყვანა და მიუალერსა.

პატარა ელიზა გრძნობდა მისთვის უჩვეულო სიტკბოებას: მას არ ახსოვდა მამის ალერსი. ჟიუნისაც უკვირდა ეს და განცვიფრებული შესცქეროდა მამას.

ჩარლის არ ჰქონდა დრო, რომ შვილებთან ტკბილი წუთები გაეტარებია. ის დილის ხუთი საათიდან საღამოს ხუთამდე მუშაობდა მაღაროებში და შემდეგ კი ბრუნდებოდა შინ დაღლილი, დაქანცული, ფეხზე დგომის უნარდაკარგული და ეძინოდა ძილს მეორე დილამდე, ისე რომ თითქმის მთელი კვირის განმავლობაში ვერა ხედავდა შვილებს...

დღეს ის თავისუფალი იყო და თავისი დრო ბავშვებსაც გაუნაწილა.

უსაზღვრო სიხარულს განიცდიდენ ჟიუნი და ელიზა, მოუსხდენ მამას და დაუწყეს ტკბილი ტიტინი.

ამ დროს ოთახში შემოვიდა საშუალო ტანის, წვრილი, გამხდარი და გადაყვითლებული სახის ქალი, რომელიც კარებშივე გაკვირვებული შეჩერდა.

— შენ დღეს არა მუშაობ? რათ დაბრუნებულხარ ასე ადრე?..

— არა, დღეს არა ვმუშაობ,—დასცინება მომესურვა,—ღიმილით უპასუხა ჩარლიმ თავის ცოლს, რომელმაც სასოწარკვეთილი სახე მიიღო... მან ერთი წუთის განმავლობაში მრავალი ფიქრი გაიტარა გონებაში. ეგონა, სამუშაოდან დაითხოვესო, რის შემდეგაც მთელ ოჯახს ულუკმაპურად დარჩენა მოელოდა.

— სამუშაოდან ხომ არ დაგითხოვეს?—შეეკითხა ცოლი და მიუახლოვდა კიდეც ჩარლის.

— არა,—შვიდად და მრავალმნიშვნელოვანად უპასუხა ჩარლიმ.—მუშაობა შევაჩერეთ. მაღაროების პატრონებმა მოისურვეს სამუშაო დღის გადიდება და ხელფასის დაკლება; ჩვენ კი ამაზე არ დავთანხმეთ. ყველამ ერთხმად გადავწყვიტეთ: ქვანახშირი აღარ დავამუშაოთ.

— გაიფიცეთ?—მწუხარე ხმით წარმოსთქვა ჟიუნის დედამ. ის წინდაწინ გრძნობდა, რომ ეს მაინც და მაინც კარგს არაფერს უქადდა, რადგან მალე შემოელეოდათ ფული და შიმშილს დაიწყებდენ..

— მერე, განა არ შეიძლებოდა საქმის სხვანაირად მოგვარება?—კვლავ შეეკითხა ცოლი და ჩაშტერდა თვალებში, რითაც სურდა უფრო დაწვრილებით გაეგო საქმის მდგომარეობა.

— არა, არა... რამდენს ვეცადეთ, მაგრამ მაინც არ მოხერხდა. ჩვენ რომ მშვიდად, თავდაბლად ველაპარაკებოდით, უფრო ადვილად გვასხდებოდენ თავზე. ახლა შევაჩერეთ მუშაობა. არაფერია, გაუჭირდებათ. მუშაობას ხელს არავინ მოჰკიდებს და, აბა, ნუ აგვისრულებენ ჩვენს მოთხოვნას!—მტკიცედ უპასუხა ჩარლიმ და მიუბრუნდა ჟიუნის, რომელიც მამას თვალებში მისჩერებოდა და ყოველ მის წარმოთქმულ სიტყვას გატაცებით ისმენდა.

— მამაჩემო, მითხარი, რათა ხდება გაფიცვა?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარლიმ ორივე შვილი გვერდით მოისვა და მამური სიყვარულით დაუწყო ახსნა:

— აი, ჟიუნ, როდესაც მე გათენებისას მაღაროებში სამუშაოდ მივდივარ, რომ ბნელ და მტვრიან გვირაბებში ქვანახშირი გამოვქენინო ხოლმე, ყოველთვის, ვიდრე სახლიდან გავიდოდე, ვსინჯავ თაროს, რომ გავიგო, გაქვთ თუ არა იმ დღისთვის საჭმელი პური და შემდეგ მწარედ დაფიქრებული მივდივარ. ხანდახან თაროში პური არ ყოფილა ხოლმე და ჯიბეშიც არც ერთი ცენტი არა მქონია, რომ მის საყიდლად დამეტოვებია. მაშინ მე გამყოლია დარდი თქვენზე და, ვიდრე საჭმელს არ გიშოვიდით, სულ ვწუხდი ხოლმე.

მაშინ კი, როდესაც ვმუშაობ, უზომოდ ვიღლები, უფრო კი იმიტომ, რომ ძლიერ ბევრს გვამუშავებენ. ახლა კი ჩვენ მოვითხოვთ: გვამუშაონ იმდენი, რამდენიც უზომოდ არ დაგვღლის და მოგვცენ იმდენი ფული, რომ სახლში საჭმელი ყოველთვის გვქონდეს..

ბრუნდება შინ დაღლილი, დაქანცული...

ჟიუნმა ყველაფერი ეს კარგად გაიგო. ელიზა კი ვერ მიხვდა. ვერ მიხვდა იმიტომ, რომ ის ძლიერ პატარა იყო. ისე კი მას ესმოდა მხოლოდ პურის შესახებ, რადგან მასაც უთქვამს დედისათვის ასეთი სიტყვები: — დედა, პული მშიან, პული მომეცი...

და დედასაც ერთი ნატეხი პური გაუყვია ორივე შვილისთვის.

ჟიუნი მამის სიტყვებს გულში ღრმად იწერდა და თვალწინაც იხატავდა მის მიერ გამოთქმულ ყველა აზრებს...

მამა კი დასვენებას ეძლეოდა საყვარელ ოჯახში და გულში კი ფიქრობდა იმაზე, თუ რით დამთავრდებოდა ეს გაფიცვა, ან რა სარგებლობას მისცემდა იგი მუშებს. .

II.

გათენდა მეორე დღე.

მზემ მრავალი სხივით გადმოჰხედა ქვეყანას.

ააბრწყინა უზარმაზარი ქალაქის შენობებზე სახურავები და შეიპრა ეზოებში, ფანჯრებში, ბინებში...

ყველამ გაიღვიძა.

ჟიუნის მამა კვლავინდებურზე უფრო გვიან ადგა და უფრო დამშვიდებულად დაიწყო ტანსაცმელის ჩაცმა, ვიდრე ყოველთვის.

ის ათი საათისთვის დიდ მოედანზე უნდა წასულიყო, სადაც უნდა შეკრებილიყვნენ დანარჩენი მუშებიც, რომ თავიანთი მდგომარეობა გამოერკვიათ.

დილის უბრალო საუზმის შემდეგ, რომელიც მეტად ტკბილად ეჩვენა, გადაიცვა სამუშაო ტანისამოსი და დანიშნული ადგილისკენ გაემართა.

დედა სარეცხის რეცხვას შეუდგა, ოთახში კი დარჩა პატარა და-ძმა, რომლებმაც მამის მოლოდინში სხვადასხვა თამაშს მიჰყვეს ხელი.

უკვე შუადღეც გადავიდა.

ჩარლი არსად სჩანდა.

მობეზრდათ მარტოდ თამაში და გარეთ გავიდენ.

ქუჩაში მოთამაშე ბიჭები ბევრნი იყვნენ. ჟიუნი შეეჩია მათში და ყველაფერი გადაავიწყდა.

პატარა ელიზა იჯდა კარგა მოზრდილ ქვაზე და შესცქეროდა მასზე უფრო მოზრდილ მოთამაშე ბავშვებს.

სადილობის დრომ მოატანა. ჟიუნის საგრძნობლად მოშივდა პური და შინისკენ გაქანდა. აქ მასაც და ელიზასაც დაუხვდათ აზელილი კართოფილი და კარგა დიდი ნაჭერი პური.

კმაყოფილებით სჭამდენ ორივენი, დედა კი, ქმარზე ფიქრით გართული, თავს ევლებოდა ორივეს.

როდესაც საღამომ მოაწია, ჟიუნიმ შეამჩნია, რომ დედამისი მამის მოუსვლელობის გამო ღელავდა. მან დედას არც კი შეატყობინა, ისე გაიქცა მამის საძებნელად.

ქალაქის დიდ ქუჩებში რომ შევიდა, უპირველეს ყოვლისა შენიშნა უშველებელი შენობები, რომელნიც უთვალავი ფანჯრებით ლამაზად გამოიცქირებოდენ.

მიდიოდა სწრაფი ნაბიჯით ხან ერთი და ხან მეორე მოედნისაკენ, მაგრამ მამას მაინც ვერსად ხედებოდა.

ქიუნიმ სულ ადვილად შენიშნა, რომ ტრამვაი არ დადიოდა; მას ძლიერ უხაროდა ეს, უხაროდა იმიტომ, რომ არასოდეს არც ერთი ცენტი არა ჰქონია, რომ შიგ ჩამჯდარიყო.

მას არ ესმოდა აგრეთვე ორთქლმავალების კვვილიც, რაც ჯერ კიდევ გუშინ სხვადასხვა სადგურებიდან ხმამაღლა მოისმოდა. მას ესეც უხაროდა, იმიტომ რომ ხშირად ნდომია შიგ ჩაჯდომა და წასვლა სადმე შორს, ლამაზი ქვეყნებისკენ, მაკრამ არც ეს შეეძლო...

მიდიოდა ქიუნი და პატარა გონებაში პატარა ფიქრებს ატრიალებდა. აუარა მრავალ მაღაზიას, საშაქარლამოებს და ძალიან სწინდა, რომ ისინიც დაკეტილი არ იყო, იმიტომ რომ იქიდან ტკბილ ნამცხვრებს და ბრჭყვიალა სათამაშოებს სხვები ყიდულობდენ, მას კი არასოდეს ფული არა ჰქონია, რომ ისიც ჰყიდულებოდა.

ასეთ ფიქრებში გართული გავიდა ერთ დიდ მოედანზე, სადაც ძალიან ბევრი ხალხი შეკრებილიყო და დიდი ჩოჩქოლი იყო.

შორიდანვე შენიშნა ხალხის შუაში მაღლობზე მდგარი კაცი, რომელიც მუშტებს იქნევდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა..

მივიდა ახლო, რომ მისი ნათქვამი სიტყვები გაეგონა, მაგრამ ხმა ქიუნამდე ვერ ახწევდა, ისე კი უცქეროდა დაკვირვებით და თვალს არ აცილებდა.

და ქიუნს ეს კაცი ძლიერ მოსწონდა იმიტომ, რომ მასაც მის მამასავით სახის მოყვანილობა ჰქონდა, ეცვა მამასავით დამკლავებული ხალათი და მასავით მხნედ იქნევდა ხელებს.

მას სურდა მიახლოვებოდა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო. შეგროვილი ხალხიც მოლაპარაკეს ჰგავდა და ისინიც დროგამოშვებით შესძახებდენ ხოლმე რაღაც მქუხარე სიტყვას, ან მოიღერებდენ მკლავებს შეკუმშული მუშტებით.

— ქიუნის დაავიწყდა კიდეც, რომ მამის საძებნელად წამოვიდა. შეერია ისიც ხალხში და მანაც დაიწყო მუშტების მოღერება და ვაშას ძახილი.

ამ დროს მაღლობზე მდგომს ტაში დაუკრეს და ისიც ჩამოვიდა. მცირე ხნით აჩოჩქოლდა ხალხი, მაგრამ მალე ისევ დამშვიდდა და მაღლობზე სხვა, მასზე უფრო მაღალი, უფრო დაღვრემილი შეხედულების.

ლაპარაკი დაიწყო, ყველა სმენად გადაიქცა.

ქიუნი გაოცებული შეაჩერდა ახლად ასულს და გახარებულმა კინაღამ წამოიძახა:

— მამა! მამა!

მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, რადგან მაინც ვერ გაგონებდა თავის წვრილ ხმას.

გულში სიხარული უტრიალებდა.

საკუთარი თვალით ხედავდა, როგორ უკრავდენ მამამისს ტაშს და დროგამოშვებით როგორ შეჰყვირებდენ ხოლმე:



აძვრა აივანზე და იქიდან დაუწყო ყურება...

— მართალია!.. მართალია!..

გატაცებული ქიუნი გაიქცა მაღალი ადგილის მოსანახავად, რომ უკეთესად დაენახა ყველაფერი და წყლის სადენი მილის საშუალებით აძვრა ერთი შენობის აივანზე.

აქედან ყველაფერს კარგად გადასცქეროდა.

შორს, მოედნის ბოლოში, ხედავდა როგორ უახლოვდებოდენ ახალ ახალი ადამიანები მოედანზე მდგომ ხალხს.

ისინი გამოდიოდენ გრძელი და განიერი გვირაბებიდან, რომლის რკინის კარებიც ფართოდ იყო გაღებული.

გაიტაცა ამ სანახაობამ.

ისინი ჰყრიდენ კარებთან ყველაფერს, რაც კი ხელში ეჭირათ: ჩაქუჩებს, წერაქვებს, ლომებს, სხვადასხვაგვარ რკინებს და სახეგამურულნი გამოდიოდენ დღის სინათლეზე.

ქიუნის გული და გრძნობები უცნაურად მეტყველებდენ. ის რაღაც ფარულ სიხარულს განიცდიდა და ერუანტელიც უვლიდა სხეულში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე იყო მთელი დღის განმავლობაში და ახალ-ახალი ტალღები მუშებისა აწვებოდენ მოედანს.

მაგრამ უეცრად ასტყდა აშინელი ჩოჩქოლი.

ხალხი, რომელიც ასე მრავალი იყო, ზღვასავით დაიძრა და ულეველ ტალღებად დაიწყო დენა.

შორს კი გამოჩნდენ ბრჭყვიალაფოლაქებიანი კაცები, რომელთაც ხელში თოფები ეჭირათ და ზოგნიც ამოწვდილი ხმლებით ერეკებოდენ მუშებს.

ჟიუნი შიშმა აიტაცა.

როგორც ქუხილის ხმა, ისე გაისმა მაღლობზე მდგომის სიტყვები:

— მტკიცედ იყავით, ადგილიდან არ დაიძრაო..

ამ სიტყვებმა გაამხნევა ყველა და თითქოს შეჩერდენ კიდეც.

ჟიუნის უხაროდა მამის ასეთი სიმხნევე და შორიდან სიყვარულით შესცქეროდა, თანაც თვალყურს ადევნებდა პოლიციელებს, რომელნიც თანდათან უახლოვდებოდენ მასაც.

ამ დროს ჰაერი აზუზუნდა, გავარდა თოფი, დაერიენ მუშებს ხ ლებით...

ამ დროს ჰაერი აზუზუნდა, გავარდა თოფი.

მაღლობზე მდგომი მოწყვეტილი ვაშლივით დაეცა ძირს.

ჟიუნი შეკრთა.

სისხლი აემღვრა, ვერც ერთი სიტყვის წარმოთქმა ვერ მოახერხა, თითქოს ლაპარაკის უნარი დაეკარგა, მაგრამ მერე მწარედ დაიკივლა:

— მამა, მაამაა!..

მაღლობიდან გადმოხტა, მამისკენ გაქანდა, ხალხის ტალღაში შეძვრა. ხალხი კი იარაღით პოლიციამ შეავიწროვა და გაფანტა.

ნახევარი საათის განმავლობაში მიჰყვებოდა აზღვავებულ ხალხს და არ შეეძლო თავის დახწევა.

ბოლოს, როგორც იყო, განთავისუფლდა და გაიქცა იქით, სადაც მამა დაეცა.

მირბის.

თვალებიდან ცეცხლი სცვივა და გულში კი საშინელი ტკივილი უტრიალებს.

მიახწია მოედანს.

აგერ, ის ამაღლებული ადგილიც, რომელზედაც მამამისი იდგა. ფიქრობს, რომ მივა და ნახავს უსიცოცხლო მამას, მაგრამ ამ დროს ვიღაც უყვირის:

— შესდექი!. დაბრუნდი უკან...

— არ დავბრუნდები, მამა უნდა ვნახო, —თამამად უპასუხებს ჟიუნი და კვლავ განაგრძობს სირბილს.

— აი, თუ არ დაბრუნდები. —მიაძახა პოლიციელმა და კისერში მახილი მსუქანი ხელები ჩასჭიდა. ჯერ მოუჭირა მაგრად, მერე შემოატრიალა და ჰკრა ხალი.

როდესაც ძირს დავარდნილი ისევე ფეხზე წამოდგა, ხედავდა, როგორ შეჭქონდთ ავტომობილებში ხელით კაცები და როგორ მიაქროლებდენ სადღაც...

თვალცრემლიანი გრძნობდა, რომ მის მამასაც შეიტანდენ შიგ.

გამწარებული უცქერდა პოლიციელებს, რომელნიც ძაღლებივით დარბოდენ აქა-იქ.

მას ეჯავრებოდა პოლიციელები, რადგან ისინი იუერდენ, ხოცავდენ და სროლით აშინებდენ ხალხს.

აი, მანქანაც მომართეს და აგუგუნდა ავტომობილი. ჯერ ნელა დაიძრა, მაგრამ მალე მოუმატა სვლას და შემდეგ გაქროლდა კიდეც ცარიელი მოედნიდან.

ჟიუნი გასცქეროდა ნაცრისფერ ავტომობილს და ჯავრი ყელში აწვებოდა. აცრემლებული თვალებით ხედავდა, თუ როგორ მიაქროლებდა ნაცრისფერი ავტომობილი უსიცოცხლო მამას.

უცბად შეინძრა ადგილზე, ხელები თმებზე იტაცა. ახლა უფრო ნათლად წარმოიდგინა თვალწინ, როგორ გავარდა ტყვია, როგორ გადმოვარდა მამა მაღლობიდან მუხლებჩაკეცილი

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაქანდა წინ. გამოუდგა ავტომობილს, ფიქრობს დაწიოს და შეახტეს, მიუალერსოს მამას, მაგრამ რამდენიმე წუთში თვალიდან დაეკარგა.

ჟიუნი არ ცხრება. მირბის ერთი ქუჩიდან მეორე ქუჩაზე. იქნებ სადმე მიაგნოს იმ ადგილს, სადაც მამა გააქროლეს.

მუხლებმა დაღალვა იგრძნო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ღონეც გამოელია... რამდენი ქუჩა გადაირბინა, შეიძლება გზა აერია კიდეც, მაგრამ მაინც მირბის.

ქუჩა ქუჩას სჭრის, ზედ კი დაჭროლავენ ავტომობილები, ომნიბუსები, ეტლები...

ყველაფერი ერთმანეთში ირევა, მის პატარა გულში ტკივილია დამკვიდრებული.

ვერაფერს ვერ ხედავს. ბურუსშია გახვეული.

ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადარბის წინდაუხედავად.

უცბად რაღაცა დაეჯახა.

უკრავდა საყვირი, მაგრამ მას არ ესმოდა.

ავტომობილი დროზე ვერ შეჩეროდა.

ჟიუნს წინა ფრთა მოხვდა და ხუთ ნაბიჯზე გადასტყორცნა.

ახლა თვალები მთლად დაუბნელდა. სახეზე სისხლი აქვს. ავტომობილი გაჩერდა. ხალხში ჩოჩქოლი ასტყდა.

ჟიუნმა განძრევა ვეღარ შესძლო. სცადა წამოწევა, მაგრამ ისევ გადაწვა.

მხოლოდ ოდნავ გაახილა თვალები. ირგვლივ ბუნდოვანი გამოხედვით და თავის წინ ისევ ის ნაცრისფერი ავტომობილი დაინახა.



რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაქანდა წინ, გამოუდგა ავტომობილს...

აიკვანეს ხელში და იმავე ავტომობილში ჩააწვინეს. ჟიუნიმ სასომიხდილად წარმოსთქვა:

-- მა-მა...

ეს სიტყვა უკანასკნელი იყო...

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

პიონერებს.

გიცინისთ სახე
ლილასავით ღია, გაშლილი,
და გულშიც თითქოს აჩენთ კოცონს
მშველს, ალმოდებულს,
ატარებთ რწმენას ბავშურ სულით,
ნორჩნი და ჩვილნი,
და ფიქრებს უყოფთ
ყველა ტანჯულს, ყველა წამებულს...
როდესაც ისმის თქვენი დაფის,
თქვენი ბუკის ხმა,
გულში ილვრება სიხარული,
გრძნობათა წყარო,
ვიცი, რომ მოდის სხვა სიცოცხლე
ბავშურ ქვეყნიდან,
ახალ ცხოვრების წარმომშობი
და სანეტარო...
დროშები თქვენი
ალმურია წარსული ბრძოლის,
მამათა მკლავებს რომ მოჭქონდათ
მკერდით ნაფარი,
გადმოგცეს თქვენ და
თქვენ გაქვთ ბედი მომავალ დროის,
რადგან ბევრია
ხსნისთვის გზები გადასატარი...

რამდენი მოძმე-ამხანაგი
შეგხვარისთ ტრფობით,
მძიმე ულელ ქვეშ ტანჯვით
ზურგი რომ დახრილი აქვთ!..
გიცქერენ შორით,
შეგცქერიან რწმენით, გულსწორად,
სასიყვარულოდ
თქვენზე ფიქრი გადახსნილი აქვთ...

ვინც უნდა იყვნენ,
თუ ოფლს ღვრიან ლუკმის საშოვად
და ბავშურ თვალებს აცრემლებენ
მათრახთა გამო,
არ დაივიწყოთ, რომ მოძმეებს
სჭირიათ შველა,
რა ვუყოთ, რომ დღეს განიცდიან
შხამიან წამებს...

ნურც ერთი ცრემლი
ზანგი ბავშის ნუ დაიკარგოს,
ნურც ერთი ოხვრა
ჩინელ პირმშოს ნუ გაჰქრეს ისე,
რომ მწვალებლები
მის სანაცვლოდ არ დაიდაგონ,
და თქვენ გულებში
არა სწერდეს შურის სტრიქონებს...

დაჭარით დაფსა
უფრო მხნედ და უფრო ძლიერად,
ბუკმაც იყვიროს,
ამცნოს ყველას თქვენი ძახილი...
მოდით, მოდეთ მთელს ქვეყნას
წარმტაც იერად,
ჰშალეთ დროშები,
ჩაგრულ ხალხის მხსნელი მახვილი...

ე. რომელაშვილი.

ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲡᲐᲝᲚᲐᲨᲘ

ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

სასწავლო წელი დაიწყო.

რის შესახებ უნდა იფიქროს თვითეულმა პიონერმა, თვითეულმა შეგნებულმა მოსწავლემ, როდესაც შედის სასკოლო შენობაში, როდესაც ხელში იღებს წიგნს და რვეულს?

უპირველეს ყოვლისა იმის შესახებ, რომ ყოველ საქმეში, ყოველ პატარა სამუშაოშიც კი საჭიროა ცოდნა და გამოცდილება.

მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობს.

„სწავლა, სწავლა... უჰ, მოსაბეზრებელია სწორედ“. გაგიგონიათ თქვენ ასეთი სიტყვები? საუბედუროდ, ამ სიტყვებს ხშირად იმეორებენ ის **პიონერები**, რომლებსაც სკოლაში მეცადინეობა ზედმეტ საქმედ, ზედმეტ ტანჯვად წარმოუდგენიათ.

ბუნებისმეტყველების გაკვეთილი.

„ძნელია სკოლაში სწავლა, ოხ, როგორ ძნელია! განსაკუთრებით ჩვენთვის, პიონერებისათვის, და, რაც მთავარია: რაში ესაჭიროება პიონერებს სწავლა? განა ჩვენ, პიონერები, არ ვატარებთ წითელ ყელსახვევს, განა ჩვენ არ ვემზადებით, რომ შევცვალოთ კომკავშირი? ჩვენ, პიონერები, ვიღაც უპარტიოები ხომ არა ვართ! ჩვენ ისედაც სხვა ბავშებზე უფრო მეტი ვიცით, და წადი ახლა და ისწავლე, იარე სკოლაში, მოამზადე გაკვეთილები, გამოიყენე ამოცანები, იკითხე, სწერე! ჩვენ ისედაც ბევრი გვაქვს სამუშაო კოლექტივში: ხშირად იმართება კრება, არსებობს სხვადასხვა წრეები, კომისიები, რომლებშიაც უნდა ვიმუშაოთ, სხვადასხვა საზოგადოებები და, ერთი სიტყვით, რომელი ერთი ჩამოვთვალოთ“.

ვინ ლაპარაკობს ასე? ვინ ქადაგობს ასეთ მავნე აზრებს? ცხადია, ის ბავშები, რომლებიც ატარებენ წითელ ყელსახვევს, მაგრამ რომლებსაც საერთო არაფერი არ აქვთ პიონერებთან. ამბობენ ასე მხოლოდ ისინი, რომლებსაც სურთ იყონ პიონერები მხოლოდ სიტყვით.

განა შეიძლება ცოდნის გარეშე ავაშენოთ ქარხნები, ფაბრიკები, სახლები, აეროპლანები და სხვა?

ცხადია, არა!

უცოდინარი, არაფრის არ მცოდნე ადამიანი ჰგავს ბრმას, რომელიც ცოტას ხედავს და ცოტას გაკეთება შეუძლია. ყოველ პატარა საქმეშიაც კი ჩვენ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და გამოცდილებას, გამოცდილ ადამიანებს ვბაძავთ ყველაფერში, როცა ჩვენ გვესაჭიროება.

მაგრამ ეს არაა საკმარისი. ჩვენ შეგვიძლია გამოცდილების და ცოდნის შეძენა იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ჩვენს მახლობლად ცხოვრობენ და მუშაობენ, მთელი კაცობრიობა კი უკვე რამოდენიმე ათასეული წელი ცხოვრობს, მან დააგროვა უამრავი გამოცდილება, რომლის უცოდინაროდაც შეუძლებელია წინსვლა. როგორ უნდა ვისარგებლოთ კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილებით, როგორ შევიძინოთ მრავალ ადამიანთა ცხოვრების მიერ გადასინჯული ცოდნა?

მხოლოდ წიგნებით, სწავლით, ყველაფერი იმის შესწავლით, რაც იყო წარსულში, რაც ხდება ახლა ჩვენს ირგვლივ.

რომ შეექმნათ ახალი ცხოვრება, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, თუ როგორ ცხოვრობდა ადამიანი წარსულში და უნდა ვიცოდეთ აგრეთვე, როგორ ცხოვრობს ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში.

შეეკითხოთ რომელ პიონერსაც გნებავთ, სად მდებარეობს ს. ს. რ. კავშირში უზბეკისტანი. უმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეს შემოხვევაში ჩვენ პასუხს ვერ მივიღებთ. საჭიროა ვიცოდეთ, რა არის ს. ს. რ. კ-ის სხვადასხვა ადგილებში, სად მეტი ტყეა, სად ნავთი, სად ქვანახშირი, სად მისდევენ მესაქონლეობას, მებაღეობას, სად როგორ ცხოვრობენ და სხვ. საჭიროა ვიცოდეთ, თუ რისთვის არის მოსახმარი ტყე, ქვანახშირი.

მეცადინეობს

და განა შეიძლება გავხდეთ კარგი მუშაკი, ხელოსანი, ინჟინერი, განვითარებული გლეხი, აგრონომი უიმისოდ, თუ არ შევისწავლეთ ყველაფერი ის, რაც იციან გამოცდილმა ადამიანებმა, სპეციალისტებმა მრეწველობაში და სასოფლო-მეურნეობაში?

და, განა, დაბოლოს, შეიძლება გახდე მუშათა და გლეხთა ინტერესებისათვის მედგარი მებრძოლი, თუ არ იცი, როგორია ეს ინტერესები, როგორ შეიძლება მუშათა საქმის გამარჯვებით დაგვირგვნება?.

ცხადია, არ შეიძლება.

კოლექტივში ყოველგვარი ცოდნის შეძენა პიონერს არ შეუძლია, რადგანაც ნორჩ პიონერთა კოლექტივებს თავის უმთავრეს ამოცანად დასახული აქვთ **მოქმედება, მონაწილეობა ცხოვრებაში, შეუკავშრებელი ბავშების დარაზმვა, ცოდნის იარაღის გავრცელება.**

მეცნიერების ყოველ დარგში კაცობრიობის მიერ დაგროვებული ცოდნის შეძენა პიონერს შეუძლია მხოლოდ სკოლაში, რომელსაც **თავის უმთავრეს მიზნად აქვს დასახული ასწავლოს ბავშებს, თუ როგორ უნდა შექმნან მომავალი ცხოვრება და როგორ უნდა იბრძოლონ მისთვის.**

აი, რატომ მიისწრაფიან სკოლისაკენ ყველა პიონერები ს. ს. რ. კავშირისა, ყველა შეგნებული ბავშები.

ყოველი პიონერის წინაშე უნდა იდგეს ერთი საკითხი:

რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინოს, რაც მომავალში და აწმყოშიც გამოადგება.

ბავშვებო, უნდა იცოდეთ, რომ ცუდია ის პიონერი, რომელიც გაურბის სასკოლო სწავლას, რომელიც იპარება მეცადინეობიდან, რომელიც სტოვებს გაკვეთილებს, რომელიც ხელს უშლის სხვებს მეცადინეობაში, ხმაურობს გაკვეთილებზე.

ჩვენი საქმეა ვიყოთ აქტიურები კოლექტივში, სკოლაში. და ეს აქტივობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ სათანადო დონეზე დავაყენოთ თვითეული პიონერის პირადი სწავლა და რომ კოლექტივში მუშობამ ხელი კი არ შეუშალოს მეცადინეობას სკოლაში, არამედ ხელი შეუწყოს მას.

დაუშვებელია სიზარმაცე, სწავლის მიტოვება, საჭიროა გავხდეთ მაგალითის მიმცემი სწავლაში ყველა დანარჩენი ბავშებისათვის—აი, რას უნდა აკეთებდენ პიონერები.

სიზარმაცე, უსწავლელობა—უდიდესი სამარცხვინო საქმეა პიონერებისათვის.

თვითეულმა ფორპოსტმა, რგოლმა, კოლექტივმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, თუ როგორ სწავლობენ პიონერები და, სადაც საჭირო იქნება, უნდა დაეხმარონ სუსტ, ჩამორჩენილ ამხანაგს, უშოვნონ სახელმძღვანელო და, როდესაც საჭიროა, სასტიკად გაიფრთხილონ.

საინტერესო გაკვეთილი.

პიონერებმა უნდა აღფრთოვანონ ყველა მოწაფეები თავისი მაგალითით. ამისათვის კი საჭიროა პირველ რიგში თვითონ სწავლობდენ კარგად.

ტეშმარიტი პიონერი უნდა იყოს ის ჩირაღდანი, რომელიც მოუწოდებს ყველას სინათლისაკენ, ცოდნისაკენ.

სწორედ ამას გვეუბნებოდა და ამისაკენ მოუწოდებდა ყველას დიდი ბელადი—ამხ. **ლენინი.**

შანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამზადებენ ახალ ხელმძღვანელებს.

ახლახან დაასრულა გერმანიაში თავისი მუშაობა ბავშთა კომუნისტური მოძრაობის ხელმძღვანელთა კურსებმა. კურსებზე მეცადინეობდა 60 ამხანაგი—ხელმძღვანელნი ნორჩ სპარტაკელთა (პიონერთა) კავშირისა. ამათგან უმრავლესობა გერმანიის კომუნისტური კავშირის წევრი იყო.

კურსებზე მეცადინეობით ამხანაგებმა შეისწავლეს მთელი რიგი ძირითადი საკითხებისა გერმანიის ბავშთა კომუნისტური მოძრაობის შესახებ და, გარ-

არის თუ არა ამის მაგვარი რაიმე ჩვენს სკოლაში? ცხადია, არა. ხოლო ამერიკის სკოლებში კი ხშირად შეხვდებით ასეთ მაგალითებს.

და ამისა, ისინი სწავლობდენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პიონერ-მოძრაობის გამოცდილებას.

კურსების დასრულების შემდეგ ყველა ხელმძღვანელები გაემგზავრენ გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში, რათა განაგრძონ მუშაობა გერმანიის ბავშთა მოძრაობის განსამტკიცებლად და გასაფართოებლად.

რევოლუციონერთა ბავშებისთვის დახმარების აღმოჩენა.

თითქმის არსად არ ცხოვრობენ იმაზე ცუდ პირობებში ბავშები, როგორც პოლონეთში.

პოლონეთის კაპიტალისტების და მემამულეების მთავრობა განსაკუთრებით მხეცურად ებრძვის რევოლუციონერ მუშებს და კომუნისტურ მოძრაობას. კომუნისტებს და კომკავშირელებს იქ უხდებათ მუშაობა მეტად მძიმე პირობებში, საიდუმლოდ. მათ შეუბრალებლად უსწორდებიან, სვამენ სატუსაღოებში, გაუსამართლებლად ასალმებენ წუთისოფელს და სხვ.

ამ რევოლუციონერთა ბავშებს განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებათ ცხოვრება. ისინი რჩებიან უპატრონოდ, მშივრები, ტიტველნი, რადგან მათი მშობლები ციხეებში იმყოფებიან.

და, აი, სწორედ ასეთი ბავშებისთვის დახმარების აღმოჩენას აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას „რემედასი". მან ამასწინეთ მოაწყო პოლონეთში საბავშო სახლი 90 ბავშისათვის, იმ რევოლუციონერთა ბავშებისათვის, რომლებიც სხ.დან ახლა პოლონეთის ციხეებში.

ეს დახმარება რამოდენიმედ მაინც შემსუბუქებს პოლონეთის რევოლუციონერთა ბავშების მდგომარეობას.

ჩეხო-სლოვაკეთის პიონერების კონფერენცია.

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ბურჟუაზიული ჩეხო-სლოვაკეთის ქალაქ პრაგაში შესდგა კომკავშირის ხელმძღვანელობით მოწვეული პიონერთა კომუნისტური ორგანიზაციების კონფერენცია.

ამ კონფერენციამ გაითვალისწინა ბავშთა კომ-ჯგუფების მუშაობის შემდგომი განვითარების გზები.

ვუსურვოთ ჩვენს ამხანაგებს წინსვლა და გამარჯვება!

ახალი რაზმები.

ახლახან გერმანიის ნორჩ სპარტაკელთა კავშირი სრულიად განსაკუთრებულ უქმეს დღესასწაულობდა. გერმანიის პიონერებმა პირველად მოაწყვეს

ორგანიზაციულად თავისი საუკეთესო წევრების კომკავშირში გადარიცხვა.

განსაკუთრებული საზეიმო ხასიათი ჰქონდა ნორჩ სპარტაკელთა კომკავშირში გადარიცხვას. კრებებზე ისინი მრავალ ასეულ ახალგაზრდა მუშათა და პიონერთა თანადასწრებით იძღეოდენ ფიცს, რომ ღირსეულად ატარებენ კომკავშირელის სახელწოდებას.

ნორჩ სპარტაკელთა ბერლინის ორგანიზაციამ ამ მნიშვნელოვან დღეს კომკავშირს 150 პიონერი გადასცა.

ერთ-ერთ კრებაზე კომკავშირში გადარიცხულმა ნორჩმა სპარტაკელმა განაცხადა, რომ ნორჩ სპარტაკელთა კავშირი მომავალშიაც გადასცემს თავის საუკეთესო წევრებს კომკავშირს.

შეერთებულ შტატებში ლერწამის პლანტაციებზე რამოდენიმე ათასი ბავშვი მუშაობს. მათ დღეში 12—14 საათი უხდებათ მუშაობა. ხელფასს კი სრულიად უმნიშვნელოს ღებულობენ.

გერმანიის ყველა პროვინციაში მოხდა ასეთი საზეიმო გადარიცხვა პიონერებისა კომკავშირში.

მთლიანად მთელს გერმანიაში ნორჩ სპარტაკელთა კავშირმა ამ დღეებში 1500 თავისი საუკეთესო წევრი გადარიცხა კომკავშირში.

კაპიტალის პატარა მონები.

მეტად მძიმე პირობებში ცხოვრობენ ავსტრიის მუშების ბავშვები. მცირე სამუშაო ქირა აიძულებს მათ ჯერ კიდევ პატარაობიდანვე მიჰყიდონ თავისი სამუშაო ძალა კაპიტალისტებს—ქარხნებსა და ფაბრიკებში სამუშაოდ.

ამასწინეთ ავსტრიის ფეიქრების პროფკავშირმა თავის ჟურნალში მოათავსა ცნობები ფეიქარ მუშების მდგომარეობის შესახებ ფაბრიკებსას ოლქში. ამ ცნობებში ნათქვამია, რომ ამ ოლქის ფაბრიკა—ქარხნების მუშები პირდაპირ ისეთ საშინელ სამუშაოებს ასრულებენ, რომ ის აღემატება მათ ძალ-ღონეს. მუშებს 12-14 საათს უხდებათ მუშაობა.

ცხადია, უკეთეს პირობებში არც ავსტრიის მუშათა ბავშვები ცხოვრობენ. როგორც გვატყობინებენ, ყველა საფეიქრო ქარხნებში ბავშვები მუშაობენ მანქანებთან 10 და ხშირად 12 საათს დღედაღამეში, თითქმის ისე, რომ ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ შორდებიან სამუშაოს.

წითელი ყელსახვევი ოკეანეს გაღმა.

8—14 წლის სამი მილიონი ბავშვი კატორღულ საქმეებს ასრულებს ბურჟუაზიული ამერიკის წარმოებებში. მაღაროებში, ქარხანა—ფაბრიკებში, ჩიგაკოს სასაკლაოებზე და სხვა წარმოებებში პროლეტარული ბავშვები 10 საათს მუშაობენ დღედაღამეში, და ასეთ მუშაობაში სრულიად უმნიშვნელო გრონებს იღებენ.

ასე უხდებათ ცხოვრება ამერიკელ ბავშვებს „თავისუფალ“ და „ცივილიზაციურ“ ამერიკაში, როგორც მას უწოდებენ ამერიკელი კაპიტალისტები.

მძიმე სამუშაო პირობები, უმნიშვნელო ხელფასი და აუტანელი გაჭირვება აიძულებს ამერიკელ მუშებს აწარმოონ ბრძოლა თავიანთი ბატონების წინააღმდეგ, თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

უკვე რამოდენიმე თვეა, რაც გაფიცული არიან ფეიქრები ამერიკის ერთ-ერთი ოლქისა, რომელსაც ეწოდება პასსაიკი. ასიათასზე მეტმა მუშამ მიატოვა ფაბრიკები და არ გამოდიან სამუშაოზე; გაფიცულთა შორის არის მრავალი ახალგაზრდაც და ათასამდე ბავშვი.

გაფიცულები არ ნებდებიან თავიანთ ბატონებს და მოითხოვენ თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ამერიკულმა კომკავშირმა და პიონერებმა ჩაატარეს კამპანია გაფიცულ ახალგაზრდა მუშათა და ბავშვთა დასახმარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრკ. პიონერების ცხოვრება და მუშაობა

ეხმარებიან სოფელს.

პიონერები ხშირად ეხმარებიან გლეხებს. ასე, მაგალითად, ელტინის კოლექტივი (ციმბირში) თავისი ნებით მარტოხელა გლეხს დაეხმარა მიწის დახვნა-დაფარცხვაში და მოსავლის მოწევაში.

შემდეგ ამავე კოლექტივმა უახლოესი მონაწილეობა მიიღო იმ მოედანის მოწყობაში, რომელსაც აკეთებდენ ხსენებული სოფლის გლეხები.

ასეთი სასარგებლო საზოგადოებრივი მუშაობის მრავალ მაგალითს შეხვდებით ციმბირის სხვა პიონერ-კოლექტივებშიც.

ჩვენმა პიონერებმაც უნდა მიბაძონ მათ.

კარგი მუშაობით გავიმარჯვეთ.

ერთ-ერთი კოლექტივის პიონერებმა, კარპისინსკის რაიონიდან (ციმბირი), აგრონომის საუბრის შემდეგ კომბოსტოს კულტურულად მოყვანას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს. ზოგიერთმა პიონერ-კოლექტივმა შეერთებული ძალით სკოლებთან მოაწყო ბოსტანი, რომლის მოსავლის გაყიდვიდან შეძენილ იქნა სკოლისათვის საჭირო ნივთები, როგორიცაა, მაგალითად, დფა, ცარცი და სხვა. აი, კიდევ ფაქტი: 12 წლის ვალოდია ეფიმენკომ (ორაბაშის რაიონიდან) გადასწყვიტა თავისი საკუთარი ძალით მოეყვანა რომელიმე ბუნეული მცენარე. ამ მიზნით მამას მოსთხოვა თესლი და მიწის ნაკერი. მამა დიდხანს უარზე იყო, არ სურდა შვილის საქმიანობა, მაგრამ ვალოდიას კატეგორიული მოთხოვნის გამო მამა იძულებული შეიქნა დაეკმაყოფილებია ის.

და რა დაინახა რამოდენიმე ხნის შემდეგ მამამ: ვალოდიას მიერ დამუშავებულ მიწაზე მოყვანილი ხორბალი თავისი ხარისხით გაცილებით უკეთესი იყო.

„ეხლა — ამბობს ვალოდიას მამა — მე ყველას ვურჩევ, რომ ხელი შეუწყონ პიონერებს, რადგანაც ისინი დიდად სასარგებლონი არიან ჩვენი ცხოვრებისათვის".

და განა ასეთი პიონერები ცოტანი არიან სოფლებში?

მხარეთმცოდნეობის წრე.

ვლადიმირო-ალექსანდროვსკის (ციმბირი) პიონერებმა თავიანთ კოლექტივში დაარსეს მხარეთმცოდნეობის წრე, რომლის მუშაობაშიაც თითქმის ყველა პიონერი ჩაება.

ისინი დაიყვენ ჯგუფებად და სხვადასხვა სამუშაოების ასრულებას შეუდგენ.

ერთნი თვალყურს ადევნებენ მწერების ცხოვრებას: თუ როგორ იჩეკებიან, როგორ იზრდებიან და სხვა.

მეორენი საერთოდ მთელ ბუნებას ადევნებენ თვალყურს და იწერენ ბუნების ცვალებადობას.

მესამენი აგროვებენ მცენარეულობას, ახმობენ მათ და ადგენენ გერბარიუმს და აგრეთვე აგროვებენ მწერების კოლექციებს.

ასეთი მუშაობით ისინი დიდად ეხმარებიან მასწავლებელს.

მასწავლებელიც დიდად კმაყოფილია მათი მუშაობით.

ზრუნავენ ცხოველებზედაც.

ნოვო სიბირსკის სოფლის პიონერმა — კოზლოვმა — შემოდგომიდანვე დაიწყო ზრუნვა მის ოჯახში მყოფი ძროხის საზამთრო ბინის მოსაწყობად, რადგანაც, თუ ზამთარში ძროხას არ ექნა თბილი ბინა, ისე ნაკლებ რძეს მისცემს პატრონს.

რამოდენიმე კვირის განუწყვეტელი მუშაობის შემდეგ კოზლოვმა თავის ძროხას მშვენიერი ბინა მოუწყო.

ამ მუშაობით მან დიდად გაახარა მშობლები, დიდად კმაყოფილი იყვენ ისინი თავისი შვილის მუშაობით.

ვეცადოთ, რომ არც ჩვენ ჩამოვრჩეთ ასეთ პიონერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ ვმუშაობთ.

(ქ. ახალქალაქი)

ბორის ძნელაძის სახელობის ახალქალაქის კოლექტივში 45-მდე პიონერია.

ეს ახალი კოლექტივია. დაარსებულია 1925 წელს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი დიდ მუშაობას აწარმოებს.

ვუშვებთ კედლის გაზეთ „ნორჩ ლენინელს", რაც ჩვენი ცხოვრების და ნაკლოვანება-მიხწევების გამომხატველია, მაგრამ მას ერთი უარყოფითი მხარე ისა აქვს, რომ ხანდახან იგვიანებს ხოლმე, თუმცა უკანასკნელ ხანებში ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცა და გამოსწორდა კიდეც.

პიონერების უმრავლესობას შეადგენს სოფლებიდან სასწავლებლად ჩამოსული ახალგაზრდობა, რომელნიც დიდის ინტერესით მუშაობენ კოლექტივში.

მეცადინეობა გვაქვს კვირაში ორჯერ და ტარდება საუბრები, ვარჯიშობანი, თამაშობანი, სხვადასხვა წრეებში მუშაობა და სხვა.

ცუდ მდგომარეობაშია საკლუბო საქმე, ბინის უქონლობა აფერხებს მას.

ამ უკანასკნელ ხანებში კოლექტივის მუშაობამ მისუსტება დაიწყო, რადგან კოლექტივის ხელმძღვანელის პასიურობა შეეჩნა. სრული იმედი გვაქვს, რომ ის დროზე გამოფხიზლდება, რადგან აქტიური პიონერები დიდ მხნეობას იჩენენ, რომ კოლექტივმა შეინარჩუნოს თავისი პირველი სახე.

დაიწყო ცდები კოლექტივში სიახლის შეტანისთვის, რომ გაღვივებულ იქნეს ხალისი, რომ პიონერები უფრო ღრმად დაინტერესდენ კოლექტივის საქმიანობით.

ყველაზე უფრო დიდ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ სუსტად სწარმოება მუშაობა ოქტომბრელთა შორის, რომელთა რიცხვიც კოლექტივში ოცამდ
აღწევს.

ამჟამად ა. ლ. კ. კ. მიერ გამოყოფილია ახ
ლი ხელმძღვანელი, რომელიც, სრული იმედი გვაქვ
დიდ უნარს გამოიჩენს და მუშაობას გაუმჯობესებ

ევ. ნათენაძე.

წინ მივიწევთ.

(ქ. ხაშური)

ქ. ხაშურის ბ. კ. ორგანიზაციის მუშაობა საე
თოდ კარგად მიმდინარეობს.

ეს კოლექტივი უშვებს თავის საკუთარ კედლ
გაზეთს, რომელშიაც აქვეყნებს კოლექტივის მთ
ცხოვრებას. მასში მონაწილეობას იღებს პიონერ
დიდი უმრავლესობა.

რიცხვობრივად იგი ზრდას განიცდის, მხოლ
აქტივობა მაშინ დაეტყო, როდესაც მეორე შრომ
სკოლის კომკავშირის უჯრედმა გადმოგზავნა თავი
წევრები პიონერულ მუშაობათა შესასწავლად და მ
დასახმარებლად.

ამას მთელი კოლექტივი დიდი აღფრთოვან
ბით შეეგება და დიდად მოხარულია, რომ ა. ლ.
კ. უჯრედმა მას ასეთი ყურადღება მიაქცია.

ამ გამოცოცხლების შემდეგ ნათლად დაეტ
თვითეულ პიონერს წახალისება.

მათ უკვე სკოლებშიაც დაიწყეს ფორპოსტებ
მუშაობაში ჩაბმა და მასწავლებელნიც დიდ იმედ
ამყარებენ ასეთ პიონერ-მოწფეებზე.

სრული იმედია, ეს მომავალშიც ასე გაგრძე
დება და მეტის უნარიანობით შრომა მეტ ნაყოფს
გამოიღებს.

პიკორი ნ. ხონელიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ФОТОГРАФІА.

წინა ნომერში ჩვენს მკითხველებს გავაცანით ფოტოგრაფიის აღმომჩენი და მისი აღმოჩენის მნიშვნელობა.

ამ წერილში მოკლედ გიამბობთ ჩვენი დროის ფოტოგრაფიული აპარატის მოწყობილობის შესახებ.

დაგერის აღმოჩენის დიდი ხნის წინეთ ხალხმა უკვე იცოდა ერთი მოწყობილობა, რომელსაც კამერ-ობსკურას ეძახდენ.



ნეგატივი.

პოზიტივი.

კამერ ობსკურა ყუთია. მის წინა ნაწილში გაკეთებულია ნახვრეტი. ამ ნახვრეტში სვამენ გამადიდებელ შუშას. უკანა კედელი ყუთს რძისფერი შუბლისა აქვს. როდესაც კამერ-ობსკურას მიუშვერენ რაიმე საგანს, ეს საგანი შუშის უკანა კედელზე გამოიხატება, მხოლოდ საგანი გამოიხატება თავბოლო შექცევით, ე. ი. თავი ქვევით და ფეხები ზევით, მარჯვენა მხარე მარცხნით და მარცხენა კი მარჯვენა მხარეს.

კამერ-ობსკურაში არ შეიძლება სახის შენახვა. როდესაც ვუყურებთ, მხოლოდ მაშინ ვხედავთ უკანა კედელზე სურათებს: სახლს, ტყეს, მომავალ ადამიანს. მხოლოდ სახლს სახურავი ქვევით აქვს მოქცეული, ხეებს კენწეროები ძირს და მიწა კი, რომელზედაც ხე იზრდება, ხის ძირებიანად ზევით არის. კაცი მოდის თავქვე დაკიდებული და სხ.

თუ გადავიტანთ კამერ-ობსკურას სხვა ადგილს, ეს სურათი გაქრება და ჩვენ წინ სხვა სურათი გამოჩნდება. თუ დავხურავთ წინა კედელში დატანებულ ნახვრეტს, სურათი სრულიადაც აღარ იქნება.

შესაძლებელი რომ ყოფილიყო კამერ-ობსკურაში სურათის ჩაბეჭდვა, მაშინ, როდესაც გადავატრიალებდით, ჩვენ მივიღებდით ნამდვილ ფოტოგრაფიულ სურათს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მარცხენა მხარე მარჯვნით იქნებოდა და მარჯვენა მარცხნით.

აი, როგორ მოახერხეს სურათების გამოსახულების ჩაბეჭდვა:

მზის სხივებს ხილულად ანუ უხილავად აქვს გავლენა ყოველ საგანზე. ჩვენი ჟურნალის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ადამიანის სხეულის კანი მზეზე შავდება, ირუჯება. ქსოვილები მზეზე ხუნდება და სხ. არის ისეთი ნივთიერებანიც, რომლებიც მზის სხივებით იხსნება.

ცნობილია, რომ მზით განათებული ყოველი საგანი თვითონაც გამოტყორცნის ხოლმე მზის სხივებს.

აი, ამ ზოგიერთი ნივთების თვისებაზე, მზის სხივების გავლენით ცვლილების მოხდენაზე, არის დაფუძნებული ფოტოგრაფია.

კამერ-ობსკურაში სდებენ შუშის ფირფიტას. ეს ფირფიტა დაფარულია სინათლის გამცდელი ნივთიერებით (ე. ი. მზის სხივის გავლენა ცვლილებებს ახდენს ზედ). ამ ფირფიტას უმიზნებენ სურათზე გადასაღებ საგანს. მზის სხივების მოქმედებით ფირფიტა იცვლება, მაგრამ მთლად კი არა, არამედ ის ადგილები, სადაც საგანი იყო გამოსახული. ერთბაშად ეს ცვლილება არ სჩანს. ჯერ ის უნდა ჩაუშვა განსაკუთრებულად შემზადებულ სითხეში—გამცხადებელში.

გამცხადებელის მოქმედებით ფირფიტაზე შავად გამოჩნდება ის ადგილი, რომელიც იყო გადაღებული. რამდენადაც გადაღებული საგანი ღია ფერის იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმდენად ის ფირფიტაზე მუქი გამოვა. სწორედ ორიგინალის მოპირდაპირე ფერის: საგნის ღიაფერი გამოდის მუქად, მუქი ღიად. მარცხენა მხარე მარჯვენით, მარჯვენა—მარცხნით.

იმისთვის, რომ გადაღებული სურათი ნამდვილი გამოსახულება იყოს საგნის, ეს შუშის ფირფიტა უნდა დავადგათ მეორე ფირფიტას და მივუშვიროთ მზეს. ეს მეორე ფირფიტა შეიძლება იყოს ფაიფურის, შუშის, ხის, ქაღალდის. მზის სხივები ვერ გაატანენ მუქ ადგილებში, მხოლოდ განსჯერტენ ღია ადგილებს.

იქ, სადაც ნეგატივზე მუქი ადგილები იყო, იქ ახალ ფირფიტაზე იქნება ღია, ნათელი ადგილები და სადაც ღია იყო, იქ მუქი. ეს ახალი გამოსახულება არის **პოზიტივი**, ე. ი. ნამდვილი, ორიგინალის მსგავსი, ფოტოგრაფიული სურათი. ნეგატივია პირველი საფეხური ნამდვილი სურათისა, პოზიტივი—ბოლო.

აი, თითქოს როგორი უბრალო საქმეა ფოტოგრაფია, მაგრამ თქმა ადვილია, გაკეთება კი ძნელი საჭირო იყო ისეთი შემადგენელობის ნივთიერები გამონახვა, რომ მზეს მოეხდინა გავლენა, საჭირო იყო ამ ნივთიერებით ნეგატივის და პოზიტივის დაფარვა უნდა გამონახული ყოფილიყო გამცხადებელი დ საუკეთესოდ ყოფილიყო მოწყობილი კამერ ობსკურა

საჭირო იყო გაუმჯობესება ობექტივისა, ე. ი. ი გამადიდებელი შუშის, რომლის საშუალებითაც ისახებ გადასაღები საგანი კამერ-ობსკურაში.

ახლა ჩვენ ვსარგებლობთ იდეალურად გამარ თული ფოტოგრაფიული აპარატით და თანდათან უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მას თანამედროვე მეცნიერების არცერთ დარგს არ შეუძ ლია გვერდი აუქციოს მას.

მეცნიერება და ტექნიკა.

ქუჩების განათების ისტორია.

19 სექტემბერს ბერლინი დღესასწაულობს თავისი ქუჩების აირით განათების იუბილეს.

ჩვენ დროში ყველა დიდი და პატარა ქალაქების ქუჩებს აირით ანათებენ, მაგრამ აირს დიდი სისწრაფით სცვლის ელექტრონი. გასული საუკუნის

დასაწყისში ევროპის ყველა ქალაქებს ნავთის ნათურებით ანათებდენ და 250 წლის წინეთ კი ნავთის ნათურებიც არ იყო. ნათურას შუშა გამოგონებულ იქნა მხოლოდ 1756 წ., ე. ი. 225 წლის წინეთ, და მას აქეთ ხალხი სარგებლობს მით.

სანამ შუშას გამოიგონებდენ, ქუჩებში ჰკიდებდენ რკინის კალათს და შიგ შეშით ცეცხლს ანთებდენ.

მაგრამ ამნაირი კალათებით განათება შემოღებულ იქნა მე-XVI-ე საუკუნეში, მანამდის კი ქუჩებში, ისეთი დიდი ქალაქებისაც კი, როგორიცაა პარიზი, ლონდონი, ბერლინი და მოსკოვი, სრულიბნელი სუფევდა. ხალხი ღამ-ღამ ძვირად გამოდიოდა სახლიდან და, როდესაც გამოდიოდა, გზას ჟინჟღლილით ინათებდა.

წყალში—კაცი ნავში, ხმელეთზე—ნავი კაცზე

ამერიკაში ტურისტებმა და მონადირეებმა ხმარებაში შემოიღეს საკვირველი ნავი.

მთელი ნავი შესდგება დასაკეცი მავთულებისაგან; მას გარედან შემოკრული აქვს განსაკუთრებულად შეზავებული სითხით გაფისული ტილო, რომელიც წყალს არ უშვებს.

ნავში ეტევა 3-7-მდე კაცი. მოძრაობს სწრაფად ელექტრო-ძრავის საშუალებით.

ამ ნავის გადატან-გადმოტანა ძალიან ადვილია. მთელი ნავი იკეცება და გამოდის 1,2 მეტრის სიგრძე, 0,3 მეტრის სიგანე შეკრული ტომარა, რომლის ტარება ადვილად შეიძლება ხურგით. ნავის დაკეცა და გაშლა სამგზავრო წყალზე შეიძლება რამოდენიმე წამის განმავლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა თეატრალია

რევოლუცია.

ძმებო, წითლად გავშალოთ
დროშა ძმობა-ერთობის,
შორიდან გვაციმციმებს
სხივი თავისუფლების.

ჩვენი მტრები მრისხანე
ბრძოლით გავატიალოთ,
და დროშა გამარჯვების
მაღლა ავაფრიალოთ.

დეე, ველზე დავეცეთ
ცხელი ტყვიით დავრილი,
ვიდრე ველულ ძალისგან
ვიყოთ ენაჩჩრილი.

წინ მივდივართ სიმღერით,
მტერზე ზრისხვა-ზრიალით,
მაღლა წითელ დროშისა
თავისუფალ ფრიალით.

შევძრათ მტრების ჯაობი,
შევძრათ მტრის ბანაკები,
გავხდეთ თანასწორები,
ყველა ამხანაგები.

ძმობა-თავისუფლება
ჩვენ ქვეყნად დავამყაროთ,
ურთერთი სიყვარული
გახდეს შვებისა წყაროდ.

მზე ვადიდოთ ახალი
თავისუფალ ჰანგებით,
და ყოველთვის გვახსოვდეს
მკვდარი ამხანაგები.

წინ, წინ ერთად გავწიოთ,
მტერი შევაზრიალოთ,
დროშა ძმობა-ერთობის
მაღლა ავაფრიალოთ.

ჩვენი ხელით ჩვენ შევქმნით
ჩვენ სამართალს, უფლებას,
ვაშა ძმობა-ერთობას,
ვაშა თავისუფლებას!

შალიკო ჩიტაძე.

დილა.

მიყვარს დილა, ტურფა დილა;
მიყვარს დილა სანატრელი.
აჭიკჭიკდენ ფრინველები,
ვაყრუეს მთა და ველი!

მოწაფენიც ყიჟინს სტეხენ,
მირბიან, მიცუნცულებენ,
და თავის ქივილ-ხივილით
ტყე და ველს ახმაურებენ.

მარიამ მარგველაშვილი.

ქარხნის გუგუნი.

დატრიალოს მუშა,
საქმეს თავს ვერ ართმევს,
მანქანა თვის სხეულს,
ვითა ფოთოლს, არხევს!
საყვირი ღრიალებს,
უძახის სხვა მუშებს,
მზის სხივები ცელქად
მიდამოს აშუქებს.
სწორედ რომ სიცოცხლით
აღსილა ყოველი,
მუშამაც საყვირსა
შესძახა: „მოველი“.
თავისუფლების ხმამ
მთლად მორწყო ველები,
და ჩვენც გამოგვასხა
წითელ-წითელ ფრთები.
მაშ, ძმებო, ვიფხიზლოთ,
ქარხნებია ჩვენი!
გავაგდოთ ხელიდან
ეს ცხოვრება ძველი,
ავიღოთ ხელთ დროშა,
ვიცხოვროთ შრომაში,
გავწიროთ თავები
მტარვალთან ბრძოლაში.

შიო ბერიკაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბურჟუაზიულ ციხეში.

პიონერები ერთმანეთს ხელებს ჩაჰკიდებენ და წრეს აკეთებენ. წრეში ჩადგება ამორჩეული პიონერი, იგი ბურჟუაზიის საპყრობილეში ჩამწყვდეულ მუშას წარმოადგენს (წრე კი საპყრობილეს).

წრეში მყოფი დაიძახებს: „გავწყვეტ მონობის ბორკილებს“. ამ სიტყვებისთანავე იგი წრეს ეცემა გასარღვევად. თუ მან წრის გარღვევა შესძლო, გაიქცევა და ოცი ნაბიჯის მანძილზე დასობილ წითელ ალმამდე (პატარა ბაირაღი) მიირბენს. დანარჩენი მოთამაშენი დაედევნებიან მას დასაჭერად და თუ შეძლეს გაქცეულის დაჭერა, ვიდრე უკანასკნელი წითელ ალმამდე მიირბენს — დაჭერილი სხვებთან ერთად წრეში დგება, ხოლო თუ ვერ დაიჭირეს, მაშინ ის ისევე ბრუნდება წრის შუაგულში და თამაში გრძელდება.

შუალამე.

ერთი მოთამაშე მელიაა და მეორე — კრუხი; დანარჩენი მოთამაშენი წიწილებს წარმოადგენენ. მელია ბუჩქს ან ხეს ამოეფარება. ამ ადგილიდან მოშორებით საქათმე მოთავსებული. კრუხი თავისი წიწილებით მიუახლოვდება მელიას და ეკითხება: „მელია, მელია, მითხარ, გეთაყვა, რომელი საათია?“. თუ მელიამ უპასუხა: „პირველი, მეორე, მესამე ან მეოთხე საათია“, მაშინ კრუხი და წიწილები არხეინად დასეირნობენ; ასეთ კითხვას იმეორებს რამდენჯერმე და, თუ მელიამ უპასუხა: „დამის თორმეტი საათია“, მაშინ უცბად კრუხი და წიწილები საქათმისკენ უნდა გაქანდენ, რადგან სოროდან გამორბის მელია და დასაჭერად ედევნება.

დაჭერილი წიწილა მელიის ადგილს იკავებს, მელია კი წიწილად იქცევა და თამაში თავიდან იწყება.



ოარადა

ჰერი, ჰერი, პიონერი,
მას ულიმის დაბლობ-სერი,
მუქთახორებს, მჩაგვრელებსა
უნდა აადინოს მტვერი.
ამაშია შარადისა
დასაწყისი სიტყვა მთელი.

ვინ მიაგნო ოქტომბრის გზას?
ის აღარ გვყავს, მართალია,
და ვინც ბრძოლას უფრთხის ახლა, —
მშიშარა და თან მხდალია.
აქედანაც ამოიღე
ერთი სიტყვა სამთვალია.

მშრომელების დარაჯია
ცოდნა, სწავლა, განათლება,
უამისოდ ფუტი არის
ულების ტანჯვა და წვალება.
ერთი სიტყვაც ააცალე
ამ სტრიქონებს ნება-ნება.

პიონერო, აბა, ჩქარა,
რა ავკინძე აქ მე, თვარა,
მოლოდინში შენს ბებიკოს,
საწყალს, უკვე დაამთქნარა.

დ. კარბელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრიდან

გამოვა 1926 წ. გამოვა

ორკვირეული საყმაწვილო დასურათებული

ჟურნალი

მოზრდილთათვის

პიონერი

წელიწადი 1

ჟურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლეგისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის საქართველოს ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ეროვნული წევრის, ორგანიზაციის ეროვნული კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თვითეული ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულებაა გამოიწეროს:

პიონერი

მიიღება ხელის მოწერა. ჟურნალი ღირს გადაგზავნით

წელიწადში—5 მან.

ექვს თვეს—3 მან „

სამ თვეს—1 მან. 50 კაპ.

ცალკე ნომერი—25 კაპ.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამზირი № 31, განათლების სახალხო კომისარიატი. „პიონერი“-ს და „ნაპადული“-ს რედაქცია.

რედაქტორი—საარედაქციო კოლეგია.

ტფილისი—19/X—26. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა პლეხ. პრ. № 91.
მთავარლიტ № 1441. შეკვ. № 33/430 ტირაჟი 4000.